



# gwp

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი  
MORE THAN JUST WATER

№ 06/8-0073519

D 01.06.2018



სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს  
მის. ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილი №6/28895, დათარიღებული 23.05.18 წ. („კომპანიაში“ რეგისტრაციის ნომერი: IN18-0069645, თარიღი: 24.05.18 წ.) დაბა ზაჰესში, მითითებულ მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება ე.წ. „ნატახტარის“ წყალმომარგების გვირაბი ( ს.კ.72.00.103).

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან და წყალმომარგების გვირაბებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანაწიდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანაწიდან 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენის გვირაბთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება გვირაბიდან ორივე მხარეს, არანაკლებ 20 მ-ისა.

აღნიშნული გვირაბის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ „კომპანიას“ აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერო

GEORGIAN WATER AND POWER LTD

მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, „კომპანია“ იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, „კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

ეკატერინე ბერიძე



კომუნიკაციისა და კორპორაციული  
მომსახურების დირექტორი

შემს. გ. მურღულია;  
293 11 11(21 02)